PDF Eraser Free

დანართი №1

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
სსიპ - კოლეჯის „მოდუსი“
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის -„კულინარიის ხელოვნება“ – მონიტორინგის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ნანა შარაბიძე

წევრები:

ზაირა ბერიძე

{ქალაქი, წელი}

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: **სსიპ - კოლეჯი „მოდუსი“**

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: **საჯარო სამართლის იურიდიული პირი**

საიდენტიფიკაციო კოდი: [redacted]

სახე: კოლეჯი

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგად საგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება/კოლეჯი

II. მონიტორინგის სახე:

☐ გეგმიური

☐ არაგეგმიური

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს შუამდგომლობით დანიშნული მონიტორინგი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

III. ინფორმაცია პროფესიული სტუდენტების შესახებ

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	შესაბამისი საბჭოს მიერ განსაზღვრული პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობა	აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა	სტატუსშეჩერებული პროფესიული სტუდენტების რაოდენობა
კულინარიის ხელოვნება	30	-	-

შენიშვნა: *საგანმანათლებლო დაწესებულებამ პროგრამის დამატებისას (2020 წლის 3 აგვისტო №655086 ოქმი) მოიპოვა პროფესიული სტუდენტის ზღრული რაოდენობა - 30 პროფესიული სტუდენტი. საგანამანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით (რომელიც განხორციელდა დღის წესრიგის გეგმის შესაბამისად დისტანციურად ZOOM პლატფორმის გამოყენებით) ამ ეტაპზე დაწესებულებას პროგრამის განხორციელება არ დაუწყია.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

IV. საერთო მიმოხილვა

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს შუამდგომლობით (2020 წლის 03 აგვისტოს №655086 ოქმი), სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2020 წლის 12 დეკემბრის №1196120 ბრძანებით, სსიპ - კოლეჯის „მოდუსი“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - "კულინარიის ხელოვნება" - მონიტორინგის შესახებ, შეიქმნა ექსპერტთა ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

1. ნანა შარაბიძე - პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტი (თავმჯდომარე);
2. ზაირა ბერაძე- პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტი (წევრი).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა სსიპ - კოლეჯის „მოდუსი“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - "კულინარიის ხელოვნება" ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ბ.ბ) კომპონენტის, შესრულების შემოწმება, განახორციელოს დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით.

ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების მიერ ცენტრში გადმოგზავნილი მასალები და ასევე დამატებით გადმოგზავნილი დოკუმენტაცია, 2020 წლის 22 დეკემბერს ცენტრის ჩართულობით განახორციელა დისტანციური ვიზიტი დაწესებულებაში, რომლის დროსაც შედგა გასაუბრება დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, კერძოდ დირექტორთან, დირექტორის მოადგილესთან, ხარისხის მართვის მენეჯერთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, განმახორციელებელ პერსონალთან, ბიბლიოთეკართან. ასევე მოხდა საგანმანათლებლო სივრცეების, ბიბლიოთეკის, ადაპტირებული გარემოს და პროგრამის განსახორციელებლად შესაბამისი აღჭურვილობის დათვალიერება.

უნდა აღინიშნოს, რომ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა მიღება ჯერ არ განხორციელებულა და სასწავლო პროცესი არ მიმდინარეობს, მაგრამ მიუხედავად ამისა და ქვეყანაში შექმნილი პანდემიური სიტუაციისა, დაწესებულება, მისი ადინისტრაცია და დისტანციურ წარმოებაში ჩართული ყველა რგოლის წარმომადგენელი, სრულად იყო მობილიზებული და საგანმანათლებლო სივრცეების სამივე გარემოს, მეტად მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი მატერიალური რესურსის, ბიბლიოთეკის და ადაპტირებული გარემოს დისტანციურმა დათვალიერებამ მაქსიმალურად ნაყოფიერად ჩაიარა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

წინა ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში მომზადებული დასკვნის თანახმად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა "კულინარიის ხელოვნება" ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან მიმართებაში შეფასდა როგორც **მეტწილი შესაბამისი**, რადგანაც 2.2 კომპონენტი შეფასდა მეტწილად.

მონიტორინგის ფარგლებში შემოწმებული დოკუმენტებისა და დისტანციური ჩართვის საფუძველზე, ზემოაღნიშნული პროგრამის, ავტორიზაციის მე-2 სტანდარტის 2.2 კომპონენტი ექსპერტთა მიერ შეფასდა როგორც სრული შესაბამისი და შესაბამისად ზემოაღნიშნული პროგრამა ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან მიმართებაში არის უკვე **„სრული შესაბამისი“.**

VI. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

–

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შესაბამისობის რეკომენდაცია:

2.2.1 (1) სასწავლო პროცესის დაწყებამდე, გაუმჯობესების გეგმის თანახმად შესყიდულ და ადგილზე განთავსებულ იქნას შესაბამისი
აღჭურვილობა

რეკომენდაცია შესრულებულია და შესაბამისად სტანდარტთან მიმართებაში დაწესებულება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსის ნაწილში შეფასდა, როგორც „სრული შესაბამისი“.

VIII. დაფიქსირებული ხარვეზების შეჯამება

-

IX. რეკომენდაციების შეჯამება

–

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

PDF Eraser Free

XI. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

პროგრამის სახელწოდება	კულინარიის ხელოვნება
პროფესიული განათლების საფეხური / დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია კულინარიის ხელოვნებაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	1013
პროგრამის დამტკიცების/ცვლილების აქტის რეკვიზიტები	დამტკიცება-ბრძანება №67,11.06.2020; ცვლილება-ბრძანება №183,08.12.2020
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი (ადგილები)	ქ. რუსთავი, შარტავას გამზირი N4
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	30 პროფესიული სტუდენტი, ქ. რუსთავი, შარტავას გამზირი N4
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	80
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	95

XII. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	შეესაბამება	მეტწილად შეესაბამება	ნაწილობრივ შეესაბამება	არ შეესაბამება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☐	☐	☐	☐
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	სრული 3			

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. *<u>პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით</u>*

დაწესებულებას საგანმანათლებლო პროგრამის „კულინარიის ხელოვნება“ განხორციელების უფლება მოპოვებული აქვს, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის მეთოდოლოგიის მიხედვით, 30 პროფესიულ სტუდენტზე, რომელთა სწავლება შესაძლებელია, როგორც ორ მიღებაზე (15-15 პროფესიული სტუდენტი), ასევე ერთ მიღებაზე, ორ ცვლაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free
ამჟამად აღნიშნულ პროგრამაზე მიღება არ განხორციელებულა და შესაბამისად სწავლა არ მიმდინარეობს.
საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება იგეგმება კოლეჯის პირველ სართულზე განთავსებულ საგანმანათლებლო სივრცეებში, რომელიც მოიცავს ერთ ჯგუფში 15 პროფესიული სტუდენტზე გათვლილ A, B და C გარემოს და პრაქტიკული კომპონენტის სწავლის შედეგების დასადასტურებლად შერჩეულ ორგანიზაციაში შპს „გრანდ ვეჯინი“.
კერძოდ:
ზოგადი, საერთო პროფესიული და პროფესიული მოდულების თეორიული მეცადინეობებისთვის განსაზღვრული აუდიტორია (A გარემო) 15 პროფესიული სტუდენტის სამუშაო ადგილით, მასწავლებლის სამუშაო ადგილით, კომპიუტერით, პრინტერით, პროექტორით და დაფით აღჭურვილი.
მოდულის „ინფორმაციული წიგნიერება“ განსახორციელებლად განსაზღვრული აუდიტორია (B გარემო) 15 პროფესიული სტუდენტის სამუშაო ადგილით, მასწავლებლის სამუშაო ადგილით, 16 კომპიუტერით (1 მასწავლებლის და 15 პროფესიული სტუდენტის), პრინტერით, პროექტორით და დაფით აღჭურვილი.
პრაქტიკული მოდულების პრაქტიკული კომპონენტის განსახორციელებლად 15 პროფესიულ სტუდენტზე გათვლილი სივრცე (C გარემო) შესაბამისი აღჭურვილობით და მატერიალური რესურსით.
ექსპერტთა ჯგუფის მიერ გადამოწმდა შესყიდვის დოკუმენტაცია, რითაც დასტურდება, რომ დაწესებულებამ სრულად შეისყიდა საგანმანათლებლო პროგრამის „კულინარიის ხელოვნება“ პროფესიული მოდულების განსახორციელებლად საჭირო სარეკომენდაციო აღჭურვილობა, ხოლო **დისტანციური გასაუბრების დროს, მოხდა, როგორც სამზარეულოს, ასევე ორივე აუდუტორიის დათვალიერება და აღჭურვილობის გადამოწმება.**
საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს პარტნიორი ორგანიზაციის ბაზაზე მოდულის „სასტუმროსა და რესტორნის სამზარეულოს დასუფთავების მომსახურების უზრუნველყოფა“ ფარგლებში, 4 სწავლის შედეგის დასადასტურებლად 74 საათის გავლას, რისთვისაც სსიპ კოლეჯს „მოდუსი“ და შპს „გრანდ ვეჯინი“-ს შორის გაფორმებულია უვადო მემორანდუმი (11.07.2020წ.), რომელიც პროფესიული სტუდენტების დაოსტატებას და პრაქტიკული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას უზრუნველყოფს შესაბამისი აღჭურვილობის და მასალა ნედლეულის გამოყენებით. მემორანდუმი ითვალისწინებს მხარეებს შორის ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულების გაფორმებას, რომელიც კონკრეტული ღონისძიებების განხორციელების მექანიზმებს, მხარეთა ფუნქციებს და უფლება-მოვალეობებს განსაზღვრავს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

PDF Eraser Free

ამრიგად, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

2. *<u>პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას</u>*

პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 12 პროფესიული განათლების მასწავლებელი. სპეციალიზაციის მოდულების განსახორციელებლად, დარგის მასწავლებლად განსაზღვრულია 5 (ხუთი) პროფესიული განათლების მასწავლებელი. პროგრამის განმახორციელებელ პირთა რაოდენობა, მათი შესაბამისობა პროფესიული სტუდენტების რაოდენობასთან და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების და მათზე დაკისრებული ფუნქცია - მოვალეობების ჯეროვნად შესრულებას, რითაც დასტურდება საგანმანათლებლო პროგრამის მდგრადობა. მათი საკონტაქტო საათების დატვირთვა ერთი პროგრამის მიზნებისათვის სასწავლო გეგმის მიხედვით ორი ჯგუფის მიღების შემთხვევაში კვირაში არ აღემატება 40 საათს.

ამრიგად, პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

3. *<u>პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია</u>*

საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება დაწესებულებაში დამკვიდრებული პრაქტიკით - კონკურსის წესით. შესაბამისად კონკურსის წესით შერჩეული პერსონალი აკლმაოფილებს კონკურსის პირობებით განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. ექსპერტთა მიერ გადამოწმდა პროგრამის განმახორციელებლების პირადი საქმეები და პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებები. პროგრამის განმახორციელებლი პერსონალის კვალიფიკაცია და მათი სამუშაო გამოცდილება სრულად შეესაბამება პროგრამის განხორციელების სპეციფიკას. აღნიშნულ პროგრამაში ჩართულია კოლეჯი მოდუსის 12 პროფესიული განათლების მასწავლებელი, აქედან 4 ზოგადი მოდულების, ხოლო 8 საერთო პროფესიული და პროფესიული მოდულების სწავლებისთვის. პროგრამის ხელმძღვანელი და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free
განმახორციელებელი პერსონალი აღჭურვილია სწავლებისა და შეფასების სათანადო კომპეტენციით, რომელიც დასტურდება შესაბამისი კვალიფიკაციით, მრავალწლიანი პროფესიული გამოცდილებით (მათ შორის პედაგოგიური გამოცდილებითაც) და გავლილი ტრენინგებით. თუმცა აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ დაწესებულება, კოლეჯში დამკვიდრებული პრაქტიკის შესაბამისად, უზრუნველყოფს პროგრამაში ახალშემოსული მასწავლებლებისთვის, მოდულების სპეციფიკის და შეფასების სისტემის თავისებურებების გაცნობის მიზნით, შესაბამისი საჭიროების ტრენინგების ჩატარებას.

ამრიგად, პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.

4. <u>საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი</u>

საგანმანათლებლო პროგრამას „კულინარიის ხელოვნება“ ჰყავს დაწესებულების მიერ განსაზღვრული შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი. პროგრამის ხელმძღვანელს აქვს სასტუმროსა და რესტორანში პრაქტიკული მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება, რაც დასტურდება მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით, პროგრამის ხელმძღვანელი მტკიცდება პროგრამის დამტკიცებასთან ერთად.

საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელისთვის, გარდა პროფესიული მოდულის განმახორციელებლის საკვალიფიკაციო მოთხოვნებისა და ხელშეკრულებით განსაზღვრული ფუნქციებისა, უშუალოდ პროგრამის ხელმძღვანელობისთვის დამატებითი ფუნქციებია გაწერილი.

დისტანციური ვიზიტის დროს, ექსპერტებს მიეცათ შესაძლებლობა გასაუბრებოდნენ პროგრამის ხელმძღვანელს, მისი როგორც საგანმანათლებლო, ასევე პროფესიული საქმიანობის მრავალწლიანი გამოცდილების და კოლეჯთან თანამშრომლობის სამომავლო პერსპექტივების შესახებ.

ამრიგად, პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

5. *საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში*

საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია კოლეჯის ბიბლიოთეკაში ძირითადად ელექტონული სახით ელ. დისკებზე, რომლებიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით და მატერიალური სახით ამონაბეჭდი გამოიყენება სასწავლო პროცესში, ბიბლიოთეკაში არის ასევე კომპიუტერებით აღჭურვილი სამუშაო სივრცე, რომელშიც ჩატვირთულია კოლეჯის საკუთრებაში არსებული საგანმანათლებლო რესურსის კატალოგი. დაწესებულებას შეძენილი აქვს დიდი რაოდენობით დამხმარე საგანამანათლებლო რესურსები, რომლის გამოყენების საშუალება ექნებათ სტუდენტებს და პედაგოგებს დაინტერესების და საჭიროების შესაბამისად.

დისტანციური ვიზიტის ფარგლებში, ექსპერტებს მიეცათ შესაძლებლობა დაეთვალიერებინათ ბიბლიოთეკა და გასაუბრებოდნენ ბიბლიოთეკარს, ასევე გადაემოწმებინათ საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსის ხელმისაწვდომობა.

ამრიგად, საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.

6. *სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად*

სსსმ პირებს წვდომა ექნებათ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად; კოლეჯს ჰყავს ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი და სსსმ პირთა ასისტენტი. ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის ერთ - ერთი ფუნქციაა უზრუნველყოს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტთათვის სასწავლო პროცესის და სასწავლო გარემოს მათი ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით განსაზღვრა, ხოლო სსსმ პირთა ასისტენტის ფუნქცია უზრუნველყოს სტუდენტის სამუშაო და სასწავლო მასალის ადაპტირება, რაც რეალურად დანერგილი პრაქტიკაა კოლეჯში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

ამრიგად, სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.

7. <u>პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა</u>

დაწესებულებას ფინანსური რესურსით საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობის უზრუნველსაყოფად შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტი, რომლის შემოსავლების ნაწილი ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ვაუჩერულ დაფინანსებას, ხოლო ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში გათვალისწინებულია შრომის ანაზღაურება, მასალა ნედლეულის ღირებულება, სხვა გაუთვალისწინებელი ხარჯები და აღჭურვილობის ამორტიზაციის ხარჯები.

ამრიგად, პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- შევსებული ფორმით პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსის შესახებ;
- სსიპ- კოლეჯის „მოდუსი“ დირექტორის ბრძანებით სსიპ- კოლეჯის „მოდუსი“ პროფესიული განათლების მასწავლებელთა საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ (ბრძანება №120,21.08.2020წ.)
- სსიპ- კოლეჯის „მოდუსი“ დირექტორის ბრძანებით სსიპ- კოლეჯის „მოდუსი“ საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთათვის დამატებითი ფუნქციების განსაზღვრის შესახებ (ბრძანება №85,27.07.2020წ.)
- საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის და განმახორციელებელთა პირადი საქმეებით;
- საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტით;
- დაწესებულების მატერიალური რესურსების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაციით;
- შპს „გრანდ ვეჯინი“-თან - ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
- საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან, განმახორციელებლებთან და ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან ინტერვიუს შედეგებით;
- დისტანციურად საგანმანათლებლო სივრცეების დათვალიერებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

XI. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. მონიტორინგის განრიგი (ჩაბარებულია დასკვნის პროექტთან ერთად)

26.01.2021წ.

თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---